

შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2024

ს ა რ ლ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 18 აპრილს:

რექტორი ----- აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი ----- ლელა თათენაშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ (საიდენტიფიკაციო კოდი – 204426834) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით 31.12.2022 გრძელვადიანი სესხების ნაშთი შეადგენდა 1 030 085 ლარს, 2021 წლის ბოლოს 31.12.2021 – 578 160 ლარი, ხოლო 01.01.2021 – 696 845 ლარი. აღნიშნული თანხებიდან 165 000 ევროს ეკვივალენტი ლარში არის 2016 წელს იტალიის ერთ-ერთი ორგანიზაციიდან მიღებული თანხა. კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით აღნიშნული თანხა წარმოადგენს მიღებულ 10-წლიან სესხს, თუმცა ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილი და ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით აღნიშნული თანხის მიზნობრიობის დადასტურება. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა საჭირო იყო თუ არა რაიმე

კორექტირების შეტანა ამ სასესიო ვალდებულებასთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსური ანგარიშების სხვა ელემენტებთან მიმართებით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...“

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს.“

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ახელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ

შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

18 აპრილი, 2024 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 878 486	3 415 623	2 886 676	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	207 150	230 554	207 607	3.2.
მარაგები	52 882	38 995	15 068	3.3.
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	10 188	11 765	113 121	
საგადასახადო აქტივები	-	26 160	293 598	3.4.
სხვა მიმდინარე აქტივები	3 468	4 028	1 200	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	3 152 174	3 727 125	3 517 269	
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8 969 440	8 203 243	6 354 962	3.5.
გრძელვადიანი აქტივები სულ:	8 969 440	8 203 243	6 354 962	
აქტივები სულ:	12 121 614	11 930 368	9 872 231	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
სავაჭრო ვალდებულებები	117 625	8 765	5 327	3.6.
საგადასახადო ვალდებულებები	34 120	-	-	3.4.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	665 969	737 560	706 328	3.7.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	817 715	746 325	711 654	
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სესხები	1 030 085	578 160	696 845	3.8.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	1 030 085	578 160	696 845	
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	3 705 834	3 705 834	3 705 834	3.9.
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	6 567 980	6 900 049	4 757 898	
კაპიტალი სულ:	10 273 814	10 605 883	8 463 732	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	12 121 614	11 930 368	9 872 231	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია:

რექტორი ----- აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი ----- ლელა თათუნაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 31-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი (გადაანგარიშებული)	შენიშვნა
ამონაგები	2 221 562	2 153 772	3.10.
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(3 612)	(4 814)	
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	2 217 950	2 148 958	
მიწოდების ხარჯი	(149 624)	(109 412)	3.11.
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(2 586 514)	(2 215 593)	
მ.შ. დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 684 642)	(1 488 860)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(253 609)	(199 287)	
სხვა	(648 263)	(527 445)	3.12.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(518 188)	(176 046)	
ფინანსური შემოსავალი	19 603	21 364	
ფინანსური ხარჯი	(13 968)	-	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(491 241)	(218 481)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	678 345	2 515 399	3.13.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(6 622)	(84)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(332 069)	2 142 151	
წლის წმინდა მოგება	(332 069)	2 142 151	
წლის სრული შემოსავალი	(332 069)	2 142 151	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია:

რექტორი ----- აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი ----- ლელა თათენაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 31-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2021-სთვის	3 715 834	4 687 612	8 403 446
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(10 000)	70 286	60 286
ნაშთი 01.01.2021-თვის (გადაანგარიშებული)	3 705 834	4 757 898	8 463 732
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	2 142 151	2 142 151
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3 705 834	6 900 049	10 605 883
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
ნაშთი 31.12.2021-სთვის (გადაანგარიშებული)	3 705 834	6 900 049	10 605 883

	კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021-სთვის	3 715 834	6 792 953	10 508 787
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(10 000)	107 096	97 096
ნაშთი 31.12.2021-თვის (გადაანგარიშებული)	3 705 834	6 900 049	10 605 883
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(332 069)	(332 069)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3 705 834	6 567 980	10 273 814
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
ნაშთი 31.12.2022-სთვის	3 705 834	6 567 980	10 273 814

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია:

რექტორი ----- აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი ----- ლელა თათუნაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 31-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი (გადაანგარიშებული)	შენ.
ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2 098 377	2 055 178	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(587 033)	(397 780)	
გაცემული შრომის ანაზღაურება საპენსიოს ჩათვლით	(1 345 881)	(1 250 720)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	219	(218)	
გადახდილი გადასახადები	(333 318)	250 184	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(21 987)	(18 810)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(189 623)	637 834	
ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(940 100)	(2 225 634)	
მიღებული პროცენტები	19 603	21 364	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(920 497)	(2 204 270)	
ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	582 490	-	3.14.
მიღებული გრანტები	626 443	2 433 026	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1 208 933	2 433 026	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(635 950)	(337 644)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(537 137)	528 946	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	3 415 623	2 886 676	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	2 878 486	3 415 623	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია:

რექტორი ----- აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი ----- ლელა თათენაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 31-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში – კომპანია) მიერ. შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“ დარეგისტრებულია 2001 წლის 06 ივნისს კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია – 204426834, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, კ. ქუთათელაძის ქ. N 3. დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2019 წლის 12 სექტემბერს.

1.2. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორს წარმოადგენს: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია (404408342)**, რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 100%.

1.3. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) კომპანიის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს რექტორს, რომელიც დარეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში როგორც დირექტორი;

ბ) კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება მმართველი გუნდის მიერ, რომელიც შედგება რექტორის, კანცლერის და ფინანსური სამსახურის უფროსისაგან.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – როგორც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს იყო რექტორი – აკაკი ჭელიძე.

1.4. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

1.5. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით, არ ჰყავს მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები.

1.6. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა.

1.7. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ზოგჯერ წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და კომერციულ კომპანიებს შორის.

1.8. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით, საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. ფინანსური ანგარიშგების „მსს ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.2. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.3. კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება – პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს-ის მე-11 განყოფილება – „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაჰენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება).

შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორიცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღგ-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, აქციზის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც და იანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების

საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული

ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 5%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 20%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 5%, 20%;
სამზარეულოს ინვენტარი და ტექნიკა	- 20%
საოფისე აღჭურვილობა	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 10%-20%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 15%;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.4. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება მსს ფასს-ის მიხედვით გამოთვლილ საგადასახადო აქტივსა (ვალდებულებებსა) და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის რეფორმა (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შევა ძალაში.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა) არის 15%.

2.5. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.6. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.2306 ლარი; 1 EUR=3.8357 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)
ფული საღაროში	1 193	542	764
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	2 877 293	3 415 080	2 885 912
	2 878 486	3 415 623	2 886 676

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)
სავაჭრო მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ	319 714	293 037	200 719
სავაჭრო მოთხოვნები სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ	25 120	5 488	24 023
სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	3 557	5 058	4 276
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(141 241)	(73 028)	(21 410)
	207 150	230 554	207 607

3.3. მარაგები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)
წიგნები	51 767	37 779	13 909
სხვა მარაგები	1 115	1 217	1 160
	52 882	38 995	15 068

3.4. გადასახადები:

საგადასახადო აქტივები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)
ნაშთი ერთიან საგადასახადო ბარათზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-	43 808	284 207
დარიცხული გადასახადები, რომლებიც აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ	-	(17 648)	9 391
	-	26 160	293 598

საგადასახადო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)
ნაშთი ერთიან საგადასახადო ბარათზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(35 079)	-	-
დარიცხული გადასახადები, რომლებიც აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ	69 199	-	-
	34 120	-	-

3.5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	მიწა (GEL)	შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	სამზარეულოს ინვენტარი და ტექნიკა (GEL)	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი და სხვა ინვენტარი (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	სხვა (არამატ. აქტ.) (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	1 737 194	2 660 675	6 552	100 823	259 303	767 699	4 391 799	168 360	10 092 405
დამატება	-	69 992	-	-	94 651	231 497	580 329	35 885	1 012 354
(შემცირება)	-	-	-	-	(12 428)	-	(6 083)	-	(18 511)
სულ ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 737 194	2 730 667	6 552	100 823	341 526	999 196	4 966 046	204 245	11 086 248
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	-	1 078 523	3 931	83 820	172 107	474 100	14 878	61 803	1 889 163
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	136 505	-	265	30 455	41 430	2 127	25 792	236 574
ჩამოწერა	-	-	-	-	(8 928)	-	-	-	(8 928)
სულ აკუმულირებული ცვეთა და ამორტიზაცია ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 215 027	3 931	84 085	193 634	515 530	17 005	87 595	2 116 808
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 737 194	1 515 639	2 621	16 738	147 892	483 666	4 949 041	116 650	8 969 440

	მიწა (GEL)	შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	სამზარეულოს ინვენტარი და ტექნიკა (GEL)	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი და სხვა ინვენტარი (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	სხვა (არამატ. აქტ.) (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	1 737 194	2 454 520	6 552	100 823	228 252	738 723	2 693 903	84 915	8 044 883
დამატება	-	206 154	-	-	31 051	28 985	1 697 896	83 445	2 047 531
(შემცირება)	-	-	-	-	-	(9)	-	-	(9)
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 737 194	2 660 675	6 552	100 823	259 303	767 699	4 391 799	168 360	10 092 405
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	-	951 504	3 931	83 505	145 672	443 023	14 872	47 414	1 689 921
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	127 019	-	315	26 435	31 077	6	14 389	199 241
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა და ამორტიზაცია ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 078 523	3 931	83 820	172 107	474 100	14 878	61 803	1 889 163
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 737 194	1 582 152	2 621	17 003	87 196	293 599	4 376 921	106 557	8 203 242

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)
რეზიდენტი კომპანიები	117 421	7 739	3 573
რეზიდენტი ფიზიკური პირები	-	700	1 470
არარეზიდენტი კომპანიები	204	326	284
	117 625	8 765	5 327

3.7. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)
მიღებული ავანსები	582 539	667 713	585 132
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	57 584	50 464	100 999
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	25 846	19 382	20 196
	665 969	737 560	706 328

3.8. გრძელვადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (ძირი)	282 941	-	-
გრძელვადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (ძირი)	747 144	578 160	696 845
	1 030 085	578 160	696 845

3.9. საწესდებო კაპიტალი:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ წესდებით განსაზღვრული კაპიტალი იყო 3 705 834 ლარი (2021 წელს – ასევე 3 705 834 ლარი).

3.10. ამონაგები:

	2022 წელი	2021 წელი (გადაანგარიშებული)
ამონაგები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	2 152 734	2 088 079
ამონაგები წიგნების რეალიზაციიდან	7 681	8 234
ამონაგები უცხოენოვანი სტუდენტების რეგისტრაციის მომსახურებიდან	19 009	14 355
ამონაგები ოჯარებიდან	21 075	12 207
ამონაგები დიპლომების გადაცემის ღონისძიებიდან	5 900	3 475
სხვა ამონაგები	15 163	27 422
	2 221 562	2 153 772

3.11. მიწოდების ხარჯი:

	2022 წელი	2021 წელი (გადაანგარიშებული)
რეკლამის ხარჯი	121 570	103 292
აგენტის ხარჯები	28 054	6 119
	149 624	109 412

3.12. საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი (გადაანგარიშებული)
საკანცელარიო ხარჯები	6 162	2 880
კომპიუტერის ხარჯები	17 880	4 778
კომუნალური ხარჯი	56 709	29 185
კომუნიკაციის ხარჯები	11 370	10 563
საწვავის ხარჯები	3 870	2 332
ნოტარიუსის ხარჯები	784	676
საფოსტო ხარჯები	260	538
აუდიტის ხარჯები	3 540	3 540
საბანკო ხარჯები	1 723	928
დაზღვევის ხარჯები	565	570
მივლინების ხარჯები	10 803	4 134
წარმომადგენლობითი ხარჯები	3 264	6 347
საგადასახადო ხარჯები	69 154	56 556
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	68 213	51 618
უიმედო ვალების ჩამოწერა	29 555	142 698
უცხოეთში მიღებული განათლების და დიპლომის აღიარების ხარჯები	3 720	5 442
ბიბლიოთეკის ბაზებით სარგებლობის ხარჯები	26 204	28 530
სტიპენდიის ხარჯები	16 313	17 156
დიპლომის ხარჯები	3 540	2 916
გრანტი	7 399	52 336
სტუდენტური აქტივობები	129 702	32 260
პროექტების ხარჯები	11 381	4 161
საერთო საცხოვრებლის ხარჯი	21 250	-
მედიცინის ფაკულტეტის ხარჯი	54 173	-
პროგრამის ხარჯები	843	18 110
სხვა ხარჯები	89 887	49 191
	648 263	527 445

3.13. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2022 წელი	2021 წელი (გადაანგარიშებული)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მოგება	339	-
სტუდენტების მიერ გადახდილი პირგსამტეხლოები	26 177	19 594
შელავთი საშემოსავლო გადასახადში პანდემიის გამო	-	59 622
უსასყიდლოდ მიღებული მომსახურება	8 541	3 111
გრანტის სახით მიღებული შემოსავალი	626 443	2 433 026
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16 845	46
	678 345	2 515 399

3.14. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან:

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკუროს სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	საპროცენტო ხარჯი	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2022-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	-	-	-	-	-	-	-
სასესხო ვალდებულება ორდიული პირის მიმართ	578 160	-	179 409	276 520	999	70 875	747 144
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	-	-	49 928	305 970	12 969	13 930	282 941
მიღებული დაფინანსება (გრანტი)	-	626 443	-	626 443	-	-	-
სულ:	578 160	626 443	229 337	1 208 933	13 968	84 805	1 030 085

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 01.01.2021-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკუროს სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	საპროცენტო ხარჯი	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	-	-	-	-	-	-	-
სასესხო ვალდებულება ორდიული პირის მიმართ	696 845	-	164 078	45 393	-	-	578 160
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	-	-	-	-	-	-	-
მიღებული დაფინანსება (გრანტი)	-	2 433 026	-	2 433 026	-	-	-
სულ:	696 845	2 433 026	164 078	2 478 419	-	-	578 160

3.15. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის ცვლილებები

კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გადაიანგარიშა შესადარისი 2021 წლის ნაშთები და ბრუნვები, გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები და გააკეთა რეკლასიფიკაციები. აღნიშნული შესწორებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლის შესწორებით წინა პერიოდში. შემდეგი ცხრილი აჯამებს, აღნიშნული ცვლილების გავლენას შესაბამის მუხლზე:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
01.01.2021			
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 949 065	(62 389)	2 886 676
სავაჭრო მოთხოვნები	64 046	143 561	207 607
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	41 326	71 795	113 121
საგადასახადო აქტივები	290 214	3 384	293 598
სხვა მიმდინარე აქტივები	-	1 200	1 200
მოკლევადიანი აქტივები სულ:	3 359 719	157 550	3 517 269
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	6 356 749	(1 787)	6 354 962
გრძელვადიანი აქტივები სულ:	6 356 749	(1 787)	6 354 962
აქტივები სულ:	9 716 468	155 763	9 872 231
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	-	5 327	5 327
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	469 824	236 504	706 328
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	469 824	241 830	711 654
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3 715 834	(10 000)	3 705 834
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	4 687 612	70 286	4 757 898
გადაფასების რეზერვი	146 354	(146 354)	-
კაპიტალი სულ:	8 549 800	(86 068)	8 463 732
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	9 716 468	155 763	9 872 231

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
31.12.2021			
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3 415 624	(1)	3 415 623
სავაჭრო მოთხოვნები	85 622	144 932	230 554
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	12 244	(479)	11 765
საგადასახადო აქტივები	-	26 160	26 160
სხვა მიმდინარე აქტივები	-	4 028	4 028
მოკლევადიანი აქტივები სულ:	3 552 486	174 639	3 727 125
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8 209 568	(6 325)	8 203 243
გრძელვადიანი აქტივები სულ:	8 209 568	(6 325)	8 203 243
აქტივები სულ:	11 762 054	168 314	11 930 368
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	6 131	2 634	8 765
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	7 224	(7 224)	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	515 352	222 208	737 560
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	528 707	217 618	746 325
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3 715 834	(10 000)	3 705 834
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	6 792 953	107 096	6 900 049
გადაფასების რეზერვი	146 400	(146 400)	-
კაპიტალი სულ:	10 655 187	(49 304)	10 605 883
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	11 762 054	168 314	11 930 368

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით 2021 წელი	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
ამონაგები	2 096 313	57 459	2 153 772
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-	(4 814)	(4 814)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საქმიანობიდან	2 096 313	52 645	2 148 958
მიწოდების ხარჯი	-	(109 412)	(109 412)
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(2 132 509)	(83 084)	(2 215 593)
სხვა შემოსავალი	2 513 189	(2 513 189)	-
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	380 680	(2 705 684)	(2 325 004)
ფინანსური შემოსავალი	-	21 364	21 364
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	-	(218 481)	(218 481)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	57 637	2 457 762	2 515 399
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(280 901)	280 817	(84)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	2 253 729	(111 578)	2 142 151
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	2 253 729	(111 578)	2 142 151
წლის სრული შემოსავალი	2 253 729	(111 578)	2 142 151

3.16. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.17. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს

კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეებიც არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს და აშშ დოლარის მიმართ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

	31 დეკემბერი, 2022 წ.			
	EUR	USD	GBP	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	317 497	16 873	-	334 370
აქტივები სულ:	317 497	16 873	-	334 370
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	80	80
გრძელვადიანი სესხები	475 926	-	-	475 926
ვალდებულებები სულ:	475 926	-	80	476 006
ნეტო შედეგი	(158 429)	16 873	(80)	(141 636)
Euro (10% ცვლილება)	(15 843)			
USD (10% ცვლილება)	1 687			
GPG (10% ცვლილება)	(8)			

	31 დეკემბერი, 2021 წ.			
	EUR	USD	GBP	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 904 402	1 419 857	-	3 324 259
აქტივები სულ:	1 904 402	1 419 857	-	3 324 259
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	80	80
გრძელვადიანი სესხები	578 160	-	-	578 160
ვალდებულებები სულ:	578 160	-	80	578 240
ნეტო შედეგი	1 326 242	1 419 857	(80)	2 746 019
Euro (10% ცვლილება)	132 624			
USD (10% ცვლილება)	141 986			
GPG (10% ცვლილება)	(8)			

		01 იანვარი, 2021 წ.			
	EUR	USD	GBP	სულ	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 256 243	1 486 880	-	2 743 123	
აქტივები სულ:	1 256 243	1 486 880	-	2 743 123	
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-	-	
გრძელვადიანი სესხები	696 845	-	-	696 845	
ვალდებულებები სულ:	696 845	-	-	696 845	
ნეტო შედეგი	559 398	1 486 880		2 046 279	
Euro (10% ცვლილება)	55 940				
USD (10% ცვლილება)	148 688				
GPG (10% ცვლილება)	-				

3.18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები
განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
გრძელვადიანი სესხები	-	271 218
ხელფასები და სხვა სარგებელი	22 250	-
მივლინება	497	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	65	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	15 000

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
გრძელვადიანი სესხები	-	282 941
სხვა დაკავშირებული მხარეები		

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები
განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
გრძელვადიანი სესხები	-	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	51 973	-
მივლინება	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	15 000

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
გრძელვადიანი სესხები	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები
განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
გრძელვადიანი სესხები	-	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-
მივლინება	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	15 000

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
გრძელვადიანი სესხები	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-

3.19. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი – ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო გახდა მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის სიმცირე ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში, თუმცა მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას საერთო სასამართლოებში არ ჰქონდა სასამართლო დავა.

3.20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2024 წლის 18 აპრილამდე, არ მომხდარა რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 18 აპრილს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

**შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“
2022 წლის მმართველობის ანგარიშგება
(საქმიანობის მიმოხილვა)**

- 2002 წელს დაარსდა სულხან-საბა ორბელიანის ფილოსოფიის, თეოლოგიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი. აღნიშნული დაწესებულება გარდაიქმნა შპს „სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტად“ 2010 წელს (საიდენტიფიკაციო ნომერი - 204426834).
- 2010 წლის 23 აპრილს დაწესებულებამ შეიცვალა სახელწოდება და საქმიანობა განაგრძო, როგორც შპს „სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი“. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დროს უნივერსიტეტი ახორციელებდა უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებს - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, როგორც ეს განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მქონე ინსტიტუციისათვის. 2021 წლის 25 მარტიდან დაწესებულებას ავტორიზაციის შედეგად დაემატა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სადოქტორო პროგრამები, რის საფუძველზეც მიიღო უნივერსიტეტის სტატუსი და შეიცვალა მისი სახელწოდებაც. 2021 წლიდან დღემდე დაწესებულების საფირმო სახელწოდებაა შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“.
- 2002 წლიდან კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები იყვნენ:
(01017002103) გიორგი ცხომელიძე - წილის ოდენობა - 6.66%;
(01030005449) არნოლდ გოხ - წილის ოდენობა - 6.70%;
(01030051964) ადამ ოხალ - წილის ოდენობა - 30.00%;
(01009004770) ნუგზარ ბარდაველიძე - წილის ოდენობა - 6.66%;
(01019008432) მანანა ანდრიაძე - წილის ოდენობა - 6.66%;
(01017012341) ნინა აივაზოვი - წილის ოდენობა - 6.66%;
(01092001388) ჯუზეპე პაზოტო - წილის ოდენობა - 30.00%;
(kH1612737) ვლადიმერ აქსენტიევი - წილის ოდენობა - 6.66%.
- 2010 წლის 23 აპრილის ცვლილებების შედეგად პარტნიორებად განისაზღვრა:
(01030005449) არნოლდ გოხ - 6.70%;
(01092001388) ჯუზეპე პაზოტო - 93.30%.
- 2010 წლის 25 ნოემბრის ცვლილებით კომპანიის 100%-იან მეწილედ განისაზღვრა (01092001388) ჯუზეპე პაზოტო), ხოლო 2012 წლის 25 ივლისიდან დღემდე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“.
- კომპანიის დირექტორები იყვნენ: 2002 წლიდან ადამ ოხალი; 2003 წლიდან 2009 წლის თებერვლამდე - პიერ მარი ნიკოლა დიუმულენი, 2009 წლის თებერვლიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე - ვაჟა ვარდიძე, ხოლო 2022 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე - აკაკი ჭელიძე.
- კომპანია იმართება დირექტორისა და საერთო კრების მიერ.

- კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.
- შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია 2001 წლის 20 ივნისი. კომპანია დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2019 წლის 12 სექტემბერს.
- კომპანიის სავაჭრო ნიშნებია: „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“, “Sulkhan-Saba Orbeliani University”.
- კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. შესაბამისად, მისი მიზანი განათლების გავრცელება და მათ შორის ამ გზით მოგების მიღებაა გამჭვირვალე, სამართლიანი, ხარისხზე ორიენტირებული, თანამშრომლობაზე, ურთიერთნდობასა და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის გზით.
- პიროვნული და აკადემიური თავისუფლება, თანასწორობა და მრავალფეროვნება, ინტერდისციპლინური მიდგომა, შემოქმედებითობა, თანაგრძნობა და ხელშეწყობა, ინკლუზიურობა - ეს ის ღირებულებებია, რომლებზეც უნივერსიტეტი დგას.
- შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“ სწავლებას ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით. უნივერსიტეტში არსებობს ექვსი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, კერძოდ: სოციალურ მეცნიერებათა, მედიცინის, სამართლის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების, თეოლოგიის ფაკულტეტები და სადოქტორო სკოლა.
- აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ბაზაზე მოქმედებს 18 პროგრამა, კერძოდ, თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა; საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა; სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა; ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; სამართლის სამაგისტრო პროგრამა; თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა; ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა; ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა; სამართლის სადოქტორო პროგრამა; თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა; საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობა 4-სართულიანია. აღნიშნულ შენობაში ხორციელდება სასწავლო პროცესი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს უფლება აქვს ჰყავდეს 1500 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. ამ ეტაპზე, სტუდენტების ჯამური რაოდენობაა 1900, საიდანაც აქტიური სტატუსის მქონეა 831. კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს დამატებით სთავაზობს საერთო საცხოვრებლის სერვისით სარგებლობის შესაძლებლობას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა ააშენა საერთო საცხოვრებლის შენობა, რომელიც მდებარეობს ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე.
- შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“ სტუდენტებზე ორიენტირებული კომპანიაა. როგორც ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პრინციპების ერთგული

საზოგადოების განვითარებაში მონაწილე და პასუხისმგებლობიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ქმნის გარემოს პიროვნების პროფესიული, კვლევითი და შემოქმედებითი განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარებას.

- შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ მისიაა მაღალი მოტივაციის ახალგაზრდა და გამოცდილი მკვლევარების, პრაქტიკოსი პროფესიონალების, გამჭვირვალე და გუნდური მმართველობის, სათანადო ინფრასტრუქტურისა და ასევე, მატერიალური თუ არამატერიალური რესურსების გამოყენებით ასწავლოს, შექმნას და გაავრცელოს ცოდნა ჰუმანიტარულ, სოციალურ და ფუნდამენტური მეცნიერებების სფეროში, რაც აისახება როგორც ტრადიციულ, ისე ინოვაციურ საგანმანათლებლო პროდუქტებში.
- დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევით გარემოს თავისუფალი და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის, რაც იძლევა პიროვნების პოტენციალის მაქსიმალური რეალიზების შესაძლებლობას.
- ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და კერძო საკუთრების იდეალების ერთგული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაწესებულება მონაწილეობს საზოგადოების გარდაქმნის პროცესში.
- დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით პერიოდულ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები), ასევე კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო თუ სამეცნიერო კურსების დაფინანსება, ხოლო მაღალი მოსწრებისა და აქტიური სტუდენტების წახალისების მიზნით გაიცემა სხვადასხვა სახის სემესტრული სტიპენდია.
- კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა, აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. კომპანიას ჰყავს დაცვის სამსახური 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს როგორც ფიზიკურად, ასევე სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით.
- უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ორგანიზაციის სტრუქტურა. შესაბამისად დაწესებულებაში ფუნქციონირებს ყველა ის მიმართულება, რომელიც საჭიროა სასწავლო და სამეცნიერო პროცესის უსაფრთხოდ და მაღალი ხარისხის სტანდარტებით განხორციელებისათვის.
- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.
- კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა კომპიუტერიზებულია და წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით.
- 2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 3 705 834 ლარს.

- კომპანიის ამონაგებმა 2021 წელს 2 153 772 ლარი, ხოლო 2022 წელს - 2 221 562 ლარი შეადგინა; რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამონაგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 3,2%-ით.
- ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2021 წელს გადახდილი აქვს 82 146 ლარი და დაბრუნებული ზედმეტად გადახდილი თანხა - 332 330, ხოლო 2022 წელს გადახდილი აქვს 333 318 ლარი.

2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“-ს რექტორისა და ფინანსური სამსახურის მიერ 2024 წლის 18 აპრილს.

რექტორი

----- აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი

----- ლელა თათენაშვილი

- კომპანიის ამონაგებმა 2021 წელს 2 153 772 ლარი, ხოლო 2022 წელს - 2 221 562 ლარი შეადგინა; რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამონაგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 3,2%-ით.
- ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2021 წელს გადახდილი აქვს 82 146 ლარი და დაბრუნებული ზედმეტად გადახდილი თანხა - 332 330, ხოლო 2022 წელს გადახდილი აქვს 333 318 ლარი.


2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“-ს რექტორისა და ფინანსური სამსახურის მიერ 2024 წლის 18 აპრილს.

რექტორი

აკაკი ჯელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი



ლელა თათენაშვილი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 18 აპრილს:

რექტორი



აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი



ლელა თათენაშვილი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2021 წ. (გადაანგარიშებული)	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 878 486	3 415 623	2 886 676	3.1.
საგაჭრო მოთხოვნები	207 150	230 554	207 607	3.2.
მარაგები	52 882	38 995	15 068	3.3.
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	10 188	11 765	113 121	
საგადასახადო აქტივები	-	26 160	293 598	3.4.
სხვა მიმდინარე აქტივები	3 468	4 028	1 200	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	3 152 174	3 727 125	3 517 269	
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8 969 440	8 203 243	6 354 962	3.5.
გრძელვადიანი აქტივები სულ:	8 969 440	8 203 243	6 354 962	
აქტივები სულ:	12 121 614	11 930 368	9 872 231	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
საგაჭრო ვალდებულებები	117 625	8 765	5 327	3.6.
საგადასახადო ვალდებულებები	34 120	-	-	3.4.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	665 969	737 560	706 328	3.7.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	817 715	746 325	711 654	
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სესხები	1 030 085	578 160	696 845	3.8.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	1 030 085	578 160	696 845	
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	3 705 834	3 705 834	3 705 834	3.9.
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	6 567 980	6 900 049	4 757 898	
კაპიტალი სულ:	10 273 814	10 605 883	8 463 732	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	12 121 614	11 930 368	9 872 231	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია:

რექტორი

აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი


ლელა თათენაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 31-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. 20442683

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი (გადაანგარიშებული)	შენიშვნა
ამონაგები	2 221 562	2 153 772	3.10.
რელიზებული საქონლის თვითღირებულება	(3 612)	(4 814)	
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	2 217 950	2 148 958	
მიწოდების ხარჯი	(149 624)	(109 412)	3.11.
საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(2 586 514)	(2 215 593)	
მ.შ. დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 684 642)	(1 488 860)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(253 609)	(199 287)	3.12.
სხვა	(648 263)	(527 445)	
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(518 188)	(176 046)	
ფინანსური შემოსავალი	19 603	21 364	
ფინანსური ხარჯი	(13 968)	-	
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობებიდან	(491 241)	(218 481)	3.13.
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	678 345	2 515 399	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(6 622)	(84)	
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე	(332 069)	2 142 151	
წლის წმინდა მოგება	(332 069)	2 142 151	
წლის სრული შემოსავალი	(332 069)	2 142 151	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია:

რექტორი  აკაკი ჭელიძე
ფინანსური სამსახურის უფროსი  ლელა თათენაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 31-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2021-სთვის	3 715 834	4 687 612	8 403 446
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(10 000)	70 286	60 286
ნაშთი 01.01.2021-თვის (გადაანგარიშებული)	3 705 834	4 757 898	8 463 732
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	2 142 151	2 142 151
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3 705 834	6 900 049	10 605 883
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
ნაშთი 31.12.2021-სთვის (გადაანგარიშებული)	3 705 834	6 900 049	10 605 883

	კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021-სთვის	3 715 834	6 792 953	10 508 787
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(10 000)	107 096	97 096
ნაშთი 31.12.2021-თვის (გადაანგარიშებული)	3 705 834	6 900 049	10 605 883
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(332 069)	(332 069)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3 705 834	6 567 980	10 273 814
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
ნაშთი 31.12.2022-სთვის	3 705 834	6 567 980	10 273 814

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია:

რექტორი _____ აკაკი ჭელიძე
ფინანსური სამსახურის უფროსი _____ ლელა თათენაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 31-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი (გადაანგარიშებული)	შენ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველსაგან მიღებული ფულადი სახსრები	2 098 377	2 055 178	
მიმწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები	(587 033)	(397 780)	
გაცემული შრომის ანაზღაურება საპენსიოს ჩათვლით	(1 345 881)	(1 250 720)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	219	(218)	
გადახდილი გადასახადები	(333 318)	250 184	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(21 987)	(18 810)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(189 623)	637 834	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(940 100)	(2 225 634)	
მიღებული პროცენტები	19 603	21 364	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(920 497)	(2 204 270)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	582 490	-	3.14.
მიღებული გრანტები	626 443	2 433 026	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1 208 933	2 433 026	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(635 950)	(337 644)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(537 137)	528 946	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	3 415 623	2 886 676	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	2 878 486	3 415 623	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია:

რექტორი



[Handwritten signature]

აკაკი ჭელიძე

ფინანსური სამსახურის უფროსი

[Handwritten signature]

ლელა თათენაშვილი

თანდართული შენიშვნები *მე-12-დან 31-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge, www.tsodnisa.ge
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ (საიდენტიფიკაციო კოდი – 204426834) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით 31.12.2022 გრძელვადიანი სესხების ნაშთი შეადგენდა 1 030 085 ლარს, 2021 წლის ბოლოს 31.12.2021 – 578 160 ლარი, ხოლო 01.01.2021 – 696 845 ლარი. აღნიშნული თანხებიდან 165 000 ევროს ეკვივალენტი ლარში არის 2016 წელს იტალიის ერთ-ერთი ორგანიზაციიდან მიღებული თანხა. კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით აღნიშნული თანხა წარმოადგენს მიღებულ 10-წლიან სესხს, თუმცა ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილი და ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით აღნიშნული თანხის მიზნობრიობის დადასტურება. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ამ სასესხო ვალდებულებასთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან მიმართებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“

„პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოაშადაონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...“

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ახელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე

მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე


ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

18 აპრილი, 2024 წელი

